საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/08

ქ. ბათუმი 06 თებერვალი, 2019 წ.

„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 47417 21.01.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დებულების **მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,4. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, ამ ფაკულტეტის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით, დოქტორანტის **ჩარიცხვიდან არაუგვიანეს მე-2 თვისა.** ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

5. სადისერტაციო ნაშრომის სათაურის კორექტირება შესაძლებელია განხორციელდეს ნაშრომის **წინასწარ დაცვამდე.** ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტს, რომელიც ერთი თვის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, წარდგინებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. წარდგინების რეგისტრაციიდან მომდევნო ერთი თვის ვადაში ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის თემის სათაურის კორექტირებასთან (ცვლილებასთან) დაკავშირებით. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.“;

ბ) **მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ–ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ასევე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი). სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ, მათ შორის მინიმუმ ერთი Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities), Scopus ბაზებში ინდექსირებულ მაღალრეიტინგულ რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.";

გ) მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის თემაზე შესრულებული მინიმუმ **სამი** პუბლიკაცია (ნაშრომი/სტატია) უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities), Scopus ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში.

(გამოცემების ნუსხას შეიმუშავებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. შესაძლებელია პუბლიკაციებისადმი მოთხოვნის დიფერენცირება, მიმართულებების სპეციფიკიდან გამომდინარე);";

დ) მე-13 მუხლის მეორე პუნქტი და თანდართული ფორმა №10 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სამეცნიერო კვლევების სამსახური:

ა) ახორციელებს დისერტაციის და რეფერატის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების ექპერტიზას, სადისერტაციო საბჭოში წარდგენიდან მათი შემფასებლებთან გადაგზავნამდე;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რექტორის მოადგილესთან (სამეცნიერო მიმართულებით) შეთანხმებით განიხილავს დოქტორანტის მიერ შესრულებული (გამოქვეყნებული) პუბლიკაციების წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას (უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერებით დადასტურდება დოქტორანტის მიერ შევსებული წინამდებარე დებულების **ფორმა №10);**

გ) უზრუნველყოფს ინგლისურენოვანი რეფერატის საერთაშორისო რეცენზირებას და შესაბამის დასკვნებს გადასცემს სადისერტაციო საბჭოს.";

ე) მე-13 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 15 დღისა."

ვ) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა და შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ–ს შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

2. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა უნდა შედგეს მისი სადისერტაციო საბჭოში წარდგენიდან არა უგვიანეს 6 თვისა.“;

ზ) დებულების მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. 2016-2017 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ დოქტორანტებს მოეთხოვებათ მათ მიერ სადისერტაციო ნაშრომის თემაზე შესრულებული მინიმუმ სამი პუბლიკაცია იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ან იმპაქტ ფაქტორის მქონე ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის დარგობრივ სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში (,,სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობები“).

2. წინამდებარე დებულების **მე-5 მუხლის პირველი პუნქტით** გათვალისწინებული ცვლილება გავრცელდეს 2019 წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე (მათ შორის მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხულ პირებზე) და იმ დოქტორანტებზე, რომლებსაც შეეცვლებათ სამეცნიერო ხელმძღვანელი.

3. წინამდებარე დებულების **მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით** გათვალისწინებული ცვლილება გავრცელდეს 2016-2017 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე (მათ შორის მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხულ პირებზე).“

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, მომზადდეს კოდიფიცირებული ვერსია და აისახოს სტუდენტის გზამკვლევში.

3. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ფორმა №10

დოქტორანტის მიერ შესრულებული სამეცნიერო პუბლიკაციები

დოქტორანტის სახელი, გვარი----------

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ----------

სადისერტაციო ნაშრომი ----------

№	პუბლიკაციის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

დოქტორანტის მიერ შესრულებული/გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამისობაშია ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან, რასაც **ვადასტურებთ:**

ბსუ-ს დოქტორანტი ----------

დოქტორანტის ხელმძღვანელი ----------

სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: ----------

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: ----------

ბსუ-ს რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით): ----------

თარიღი: